ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

სექტორის მიმოხილვა

მანდარინის ბაზარი

ამჟამად მანდარინის სეზონი აქტიურ ფაზაშია შესული. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზის თანახმად, ციტრუსის წლევანდელი მოსავალი 55 000 ტონას მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოყვანილი ციტრუსის 90% მანდარინია, ფორთოხლისა და ლიმონის რაოდენობა კი შედარებით მცირეა. მანდარინი ძირითადად აჭარაში (70%), გურიაში (18%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (10%) და იმერეთში (2%) მოჰყავთ.





წყარო: საქსტატი, 2023

მიუხედავად იმისა, რომ მანდარინის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა არსებობს, ამჟამად საქართველოში ციტრუსის მოყვანა მაინც მცირდება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველ 1 კგ არასტანდარტულ მანდარინში ფერმერი სახელმწიფოსგან 15 თეთრის ნაცვლად 30 თეთრს მიიღებს. ციტრუსის წარმოების შემცირების მიუხედავად, ექსპორტის მაჩვენებელი ზოგადად მზარდი, მაგრამ ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. ექსპორტირებული პროდუქტის 99%-ზე მეტი დსთ-ის ქვეყნებში გადის, ევროკავშირში კი – მხოლოდ 1%. საყურადღებოა, რომ დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებული ციტრუსის 58% რუსეთში მიდის, რაც დარგის დსთ-ის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.





*წყარო: საქსტატი, 2023. შენიშვნა: *იანვარ-ნოემბერი 2023*

ფასები

ადგილობრივი ფასები

2023 წლის სექტემბერ-ნოემბერში ფასების დონე თვიურ ჭრილში მცირედით იცვლებოდა. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ოქტომბერთან შედარებით უმნიშვნელოდ (0.2%) შემცირდა; აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში დადებითი იყო და 0.6% შეადგინა.

2023 წლის სექტემბერ-ნოემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების (FPI) ფასების დონე თვიურ ჭრილში მცირდებოდა. ნოემბერში სურსათის ფასები 0.5%-ით შემცირდა 2023 წლის ოქტომბერთან შედარებით; სექტემბერსა და ოქტომბერში კი აღნიშნული მაჩვენებელი -0.2% იყო.





წყარო: საქსტატი, 2023. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

წლიურ ჭრილში, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2023 წლის სექტემბერსა და ნოემბერში ზრდას განაგრძობდა. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 0.1%-ით გაიზარდა 2022 წლის ნოემბერთან შედარებით; სექტემბერში ზრდის მაჩვენებელი 0.7% იყო, ოქტომბერში კი – 0.8%.

2023 წლის ნოემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასების დონე უმნიშვნელოდ (3.1%) შემცირდა, რამაც სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) მხოლოდ 1,08%-ით კლება გამოიწვია. ძირითადი გამომწვევი ფაქტორი იყო შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქციის ფასების კლება:



ზეთი და ცხიმი (-19.4%↓)

ბოსტნეული და ბაღჩეული (-11.7%↓)

პური და პურპროდუქტები (-9.2%↓)

წყარო: საქსტატი, 2023

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

მთლიანობაში, სურსათისა და უალკოჰოლური სასმელების ფასები შემცირდა, თუმცა გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქტების ფასები: ხილი და ყურძენი (12.2%), ხორცი (6.3%), თევზეული (5%), მინერალური და წყაროს წყლები, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (2.7%). ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან ყველაზე მეტად გაძვირდა ყურძენი (61.7%), ატამი (37%), ქლიავი (28.5%) და მსხალი (26.3%).

ყურძნის ფასის ასეთი მკვეთრი მატება შეიძლება აიხსნას ყურძენზე გაზრდილი მოთხოვნით, რაც, თავის მხრივ, ღვინის ექსპორტის ზრდითაა განპირობებული. 2023 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ღვინის ექსპორტი მნიშვნელოვნად (26.3%) გაიზარდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. მთლიანობაში, იანვარ-ნოემბერში ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინის ექსპორტი 3.3%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ დიდი ზრდაა 2022 წელს დაფიქსირებული ექსპორტის რეკორდული მაჩვენებლის გათვალისწინებით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ღვინის მწარმოებლების მხრიდან გაიზარდა ყურძენზე მოთხოვნა, რამაც გამოიწვია ყურძნის ფასის ზრდაც.

რაც შეეხება ატამს, 2023 წელს ატმის ფასების ზრდა, შესაძლოა, ატმის გაზრდილი ექსპორტითზ და უამინდობით იყოს გამოწვეული. ორივე ფაქტორმა ხელი შეუწყო ადგილობრივ ბაზარზე ატმის დეფიციტს.

ხორცის შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორცის წარმოება იზრდება, ქვეყანა კვლავ იმპორტსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებზეა დამოკიდებული. ამიტომ 2023 წელს მსოფლიოში ხორცის ფასების ზრდამ განაპირობა ხორცის გაძვირება საქართველოშიც.

2023 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში ხორცის იმპორტი 20.8%-ით გაიზარდა 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. 2023 წლის ნოემბერში, 2022 წლის ნოემბერთან შედარებით, ქართულ ბაზარზე საქონლის ხორცის ფასი 13.8%-ით გაიზარდა, ფარშის კი – 9%-ით. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართულ ბაზარზე დიდია ხორცზე მოთხოვნა, რაც, უმეტესწილად, მოსახლეობის კვების კულტურითაა განპირობებული.



წყარო: საქსტატი, 2023.

საერთაშორისო ფასები

2023 წლის სექტემბერ-ნოემბერში სურსათის საერთაშორისო ფასები მცირდებოდა. 2023 წლის ნოემბერში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად (11.8%) შემცირდა 2022 წლის ნოემბერთან შედარებით. შემცირდა მცენარეული ზეთების (19.8%), მარცვლეულისა (19.4%) და რძის პროდუქტების (16.9%) ფასები. შაქრის ფასი კი, პირიქით, გაიზარდა (41.1%). ამ სეზონზე შაქრის ფასის ამგვარი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა მოლოდინმა, რომ ექსპორტისათვის შაქრის საჭირო რაოდენობა არ იქნებოდა ორ მთავარ ექსპორტიორ ქვეყანაში – ტაილანდსა და ინდოეთში. შეშფოთება გამოიწვია ამ ქვეყნებში შაქრის წარმოების არასახარბიელო პროგნოზმა, რომელიც ემყარებოდა ელ-ნინიოს მოვლენით გამოწვეული გვალვის შედეგებსა და ბრაზილიიდან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ შეფერხებებს.

აშშ დოლართან მიმართებაში ბრაზილიური რეალის გამყარებამ გლობალურ ბაზარზე შაქრის ფასების ზრდა განაპირობა.



წყარო: FAO, 2023.

საერთაშორისო ვაჭრობა

2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობა იზრდებოდა. 2023 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელმა 5,584 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს (5,028 მლნ აშშ დოლარი 2022 წელს). გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტიც – 2022 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში არსებული 1,124 მლნ აშშ დოლარიდან 1,304 მლნ დოლარამდე 2023 წელს (16%-იანი ზრდა). აგრო ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი აღემატება მთლიანი ექსპორტის ზრდის მაჩვენებელს და მისი წილი მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელში 22.4%-დან 23.4%-მდე გაიზარდა.

გრძელდება იმპორტის ზრდის ტენდენციაც. გაიზარდა მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი და 2023 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში იმპორტმა 14,028 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16%-ით აღემატება 2022 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს (12,078 მლნ აშშ დოლარი). 2023 წელს აგრო ექსპორტის 16%-ით ზრდასთან ერთად, შედარებით მცირედით (11%) გაიზარდა აგრო იმპორტი (2022 წლის იანვარ-ნოემბერში დაფიქსირებული 1,631 მლნ აშშ დოლარიდან 1 803 მლნ აშშ დოლარამდე 2023 წელს). მცირედით შემცირდა აგრო იმპორტის წილი იმპორტის მთლიან მაჩვენებელში (2022 წელს დაფიქსირებული 13.5%-დან 12.9%-მდე 2023 წელს).

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების მიუხედავად, იზრდებოდა როგორც მთლიანი ექსპორტის, ისე იმპორტის მაჩვენებლები.





წყარო: საქსტატი, 2023; შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს.

საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი წილი ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინის ექსპორტს უჭირავს. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ქართულ ღვინოზე მოთხოვნა იზრდებოდა, შედეგად, იზრდებოდა ღვინის ექსპორტიც. ამგვარად, 2018 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში ახალი ყურძნის ღვინის ექსპორტი 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 15.1%-ით გაიზარდა (155.4 მლნ აშშ დოლარიდან 178.8 მლნ აშშ დოლარამდე). ეს აღმავალი ტენდენცია მომავალი წლის განმავლობაშიც შენარჩუნდა: 2019 წელს ღვინის ექსპორტი 13.4%-ით (23.9 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა. თუმცა 2020 წელს პანდემიით გამოწვეული მოვლენების გამო, ღვინის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 8.1%-ით (16.5 მლნ აშშ დოლარით) შემცირდა.

ხანგრძლივი პანდემიის მიუხედავად, ღვინის ექსპორტის ზრდის ტენდენცია მალევე აღდგა და 2021 წელს ექსპორტის მაჩვენებელი 6.8%-ით აღემატებოდა პანდემიამდე დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

2022 წელს ექსპორტის ღირებულებამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და 232,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7.5%-იანი ზრდაა 2021 წელთან შედარებით. 2023 წელს ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინის ექსპორტი კიდევ უფრო გაიზარდა და ახალ რეკორდულ ნიშნულს, 240,3 მლნ აშშ დოლარს, მიაღწია.



წყარო: საქსტატი, 2023

პოლიტიკის მიმოხილვა

დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ეკოსისტემების მართვის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება ახალი პროექტი

პროექტი დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, მიწის მდგრად მართვასა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენას ისახავს მიზნად. პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, დახორციელდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP) და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (RECC) თანამშრომლობით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს:https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21502/

2024 წელს თხილის წარმოების ხელშემწყობი პროგრამა განხორციელდება

პროგრამა პირველად 2023 წელს განხორციელდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით 44,000 ჰექტარზე მეტი თხილის ბაღი დარეგისტრირდა თხილის კადასტრში, 90 ათასამდე ფერმერმა კი მიიღო სახელმწიფოს მხარდაჭერა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანახმად, ეს პროგრამა მნიშვნელოვანია მცირე ფერმერებისათვის როგორც მოსავლიანობის გაზრდის, ისე თხილის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21501/

საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევი მომზადდება

საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გზამკვლევი შემუშავდება საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ „ორქისის“ ექსპერტთა გუნდის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით და საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით შექმნილ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საკვანძო უწყებების აქტიური ჩართულობით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21442/

ავტორები: გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge
ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge